## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი N 1/190 „15“ ოქტომბერი 2010 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**ვანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ. ჯაშიაშვილის ბათუმის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ**

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2010 წლის 1 ნოემბრიდან:

1. ვანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნათელა ჯაშიაშვილი მივლინებულ იქნას ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.
2. ნათელა ჯაშიაშვილმა, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილება განახორციელოს ვანის რაიონულ სასამართლოში.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ. ჯაშიაშვილის თელავის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 2 დეკემბრის №1/431 გადაწყვეტილება.

ვალერი ცერცვაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი